

Nº 9-10

356 403.

ବ୍ୟାଲିନ୍ଦାରୀ ପିର୍ବ୍ୟାଳୀ.

მარტინ შვერძე

თვიური სამეცნიერო, სალიტერატურო და სპოლრტიკ უფრნალი.

1 ዓ.ም. 1917 ዓ.

၁၅၈၁၀၆၀

სტამბა „შმობა“, პუშკინის ქ., სახ. გლეხვალისა.

ფეხბორკილიანმა ტყვემ, ჩამოშლილ რეინის „კოკაზე“ მჯდომარე, მის ბედშიცე მყოფ ამ-ხანის, რომელსაც რომელიმაც ერთი მოძრაობის შესახებ ქონდა ღაბარაკი და ფთხილით დაეჭირა მის გვერდით. ყველა ტყუა, ვანიგძი მან. ყველას სურვილები ერთმანეთის საწინააღმდეგოთა მომართული, ყველას სულსა და გულში, მხოლოდ ბორიტებს მოუკალათებია! არც ყოფილი, არც იქნება შეება. კაცი მხოლოდ ტანჯვისთვის ცოცხლობს, მინამ კოცხალია, მოკვდება, და ვაქრება, „ვითა სიზმარი დამისა“.

ასეთი კილოთი განაგძობდა ტყვე თვისი პესიმიზმით საესე აზრებს და თითოეული მისი სიტყვის ამითქმა, რაღაც არა ჩევულებრივ მღელვარებას იწყევდა მასში. ამით ცხად ყოფდა იმ აზრს, რომ იგი არ იყო მშრალი, გულგრილი სიტყვაობა, არამედ სულიერი შეფორის ნაყოფი, ან გულის სიღრმიდან ამონისმობი... მარა, არც ჩემ დახერილ ვულა ესობოდა მომაშუშებელ მაღამით, მისი ზოგიერთი მაინც, უსაფუძვლო სიტყვები. ჩემშიაც იღვიძებდა პასუხის გაცემის სურვილები და, ვინაიდან არა ერთხელ მომისწერია ტუსალთა წრეში მისი ესეთი, იმედის დამხშობი ლაპარაკი. მიუხედავათ იმისა, რო ძლიერ გაურბოდი რომელიმე ტუსალის ასებით გამოლაპარაკებას, ამა თუ იმ სერიოზულ საკითხებზე. ძალაუნებურათ მაინც გაეხდი იძულებული, გამოელაპარაკებოდი: — რათა მსჯელობ, ესე უსაფუძვლოთ, მშობილო! დავტკი მის წინ, მეორე კოკაზე“ და მოურიდებლათ მივმართ.

— უსაფუძვლოთ?! — წყენითა და მრავალ მიშვენელოვანათ შემომანათა ერთ დროს მიმზევიდეს სიციკლის ტალღებ მოთამაშე, ახლა სინათლე გამოლეული შევი თვალები. ეპე, მთავ, ვისაც არ უგემნია ცხოვრების მწარ—ტკბილი, მხოლოდ ის იტყვის, ასე დაუფიქრებლათ ჩემი სიტყვების უსაფუძვლობას..

— რომ მომართეთ მავნარი სიტყვებით, შეკრიბირეთ; რომელსაც პატარი, შეს სა შეკრი-

ნია და რა არა?! წყენით და მღელვარეთ ვუპასუხე მისი სიტყვებით შეურაცყოფილმა.

— უკაცრავით, მთავ, მე აზრთაც არ მომსვლია შენი წყენება, ისე უნებლიერ მოიცანა სიტყვამ და გიოხარი.

— მიუხედავათ იმისა, რო შენი პესიმის ზმით სავსე შეხედულობა ცხოვრებაზე მე უადგილოთ, სხვისა და შენ დამღუბველთაც მიმანია, დიდი მოხარული ვიქნები, რო შეგეძლოს მაგის არსებითად დახასიათება. მარა ეს ასე არარი: შენი სიტყვები, ან არი ჯინისა, ან და სულის შფოთვის ნაყოფი, რაც ხშირათ ემართება, ნამეტურ, ჩენ ბეჭდში მყოფ ადამიანს.

— მართალია, ცხოვრებაში არი ტანჯვა, ადამიანშიც სუფევს ბორიტება. მარა ეს ყოველივე გარდამავალია, წუთიერი. ბეჭდიერება, სიმართლე-კი მომავალს ეკუთნის, სამარადისოა...

— ნეტავი — კი! მარა ვაი, რო ეგ სიტყვები მხოლოდ მშრალი, უსულეულო. ან უიმედო იძების გამომხატველი. რანაირათ? ცხოვრება უნდა ვალაქმიას თვით ადამიანში. ადამიანი — კი ბორიტებითა სავსე და მისი გადაქმნილი ცხოვრება, როგორი უნდა იქნეს, რა რიგი სიმართლე და ბეჭდიერება უნდა სუფევდეს მასში?! ეს უკანასკნელი სიტყვები, ისეთი მღელვარებით წარმოთქვა, რო იძულებული გამხდარა, მისი ვინაობის გამოკვლევის სურველმა შეეგება ჩემი მღელვარება, რითაც ვისარგებლებდი იმის იმედების დამარხვის მიზეზებს.

— მომბილო! მიებართე მე. ადამიანის სულის ამაფოთვანებული, ან ამაშფოთებელი მოვლინება, როდესაც მეორე ადამიანში გადადის, ე. ი., ერთი მეორეს უზიარებს, რაც უნდა იქნეს იგი, მწერალება, თუ სიხარული, უუკილებლათ, დახურდავდება, დანაწილდება და ამით გულს ეძლევა შეება, მოსვეება.

— მერე?! — როგორი თვალითაც მწოლიარე ავათმყოფი შეხედავს მის თავზე შეგომ მცურნალს, სწორეთ იმ თვალით შემოშაცევი რდა ჰყორბილი..

მანი ენს ტუმდუ! უწინოსას ჩატუქების

ჩაყიოთლებული სახე, ოდესმე იმედის სხივით ანთებული, ახლა—კი ჩამქრალ ჩალურჯებული თვალები განაგძობდენ:—ერთხელ, შეც შევხა-ოდი შევნიერ სიცოცხლეს, ცხოვრებას ამა სოფელში, მოყვარდა და აღვიარებდი უმაღლეს ღვთაებასაც!: გამარჯვების იმედებით აღჭურეილი, შოუპავრათ ვებძოდი შავ ბედს.. გარა დავთარკტდი.. დავგაცა დონებინთილი მწვავე ბძოლის ველზე; მერე, თქვენ რა ქენით?! შე-მაქტიეთ ზურგი, გადამიარეთ. დამწისლეთ ტა-ლახიანი ფეხებით ყველაზ, შენც და სხვამაც?.

— მერე და ის, მევობარო, რო შენ იმი-სანა წყლულები გაწუხებენ, რომელთა შემქ-ნელ პირობებს მე გულდასმით მოვისმენ, შენ გულს-კი ამით შევპა მრეცება.

— ეჭ, მმათ! „კარგი რამ მჭირდეს, გი კვირდეს, აფა რა საკვირველა“—ამბობს ჰე-ნიოსი შოთა და ეს სიტყვები ზედ გამოჭრი-ლია ყოველ ჩეცენანზე.

ჩემი წასულის ამბავი, რათ გინდა. ყარა-მან ყათილის როლი მე არ მითამაშნია ცხო-ვრებაში და ორც გარდაქეშნის. მხოლოთ ჩე-მი სატკვერი, ცოტაც იყოს, ჩემთვის საყ-ფია; სხვას-კი, ვინ იცის, გულიც არ აუთროთ-ლოს.

— „მას მკურნალმა, როგორ კურნოს, თუ არ უახრას, რაკა კირდესო“—! ამასაც-კი ამბობს შოთა, მევობარო. პატიოსას სი-ტყვიას გაძლევ, გულ დასმით მოვისმინო თქვე-ნი ამბავი.— გთხოვთ, გვიამბოთ მოკლეთ მინც,

— ჩემი თავგადასავალი?—პყრობილმა ნაღვიანათ შემომკინა. კარგი.— და მცირე ღდენი ხნის შემდევ, დამყა ნებს. თვის ბინ-ძურ ბალიშის ქვეშიდან, მან თეთრი ტილის ქი-სა გამოიღო და ისეთი მოელვარებით დაუწყო დაჭრილ თუთუნის ღერებს ქალალდში ხვევა, რომ, აშკარა იყო, ძლიერ შეაწუხა გულის ნადების გაზიარების სურვილმა. მღვლვარებულე მოუკიდა თაშაქის, ერთი ამოხნეშით მიმო-ხედა გარს და, როკა დარწმუნდა, რო ჩეგნს გარშემო ტუსაღები უკვე შემოვცილოდა, ხე-ლის შემშლელიც აღარვინ იყო, დაიწყო:

— „მე ერთი ღარიბი გლეხის შვილი ვარ. ჩვენ სოფელში გათქმული იყვენ ჩემი მშობლები გულყეთილობითა და სიმართლის მოყვარობით.

მამაჩემს სრულიათ არა ესმოდა რა წი-მგნისა, დედამ—კი ზედ მიწევნით იცოდა ქარ-თული წერა— კითხვა.

გუშინდელი დღესავით მახსოვს, სანახ-შოზე შეგროვილ მანდილოსნებში უფრო ხშირათ გამოიტანდა ხოლმე „ვეფხის ტყაო სანს“, რომელსაც იგი „ქართულ ფილოსო-ფიას“ ეძახოდა. ისეთი გატაცებით დაიწყებდა კითხვას, კაცს ეგონბობოდა, ზეპირათ დაუსწავ-ლია.

შევიქენი 8 წლის.

მე მმა არა მყავდა: არც უფროსი, არც უნცროსი, რო შეესუბუქებიათ მუშობლების მიმე უღელი და ამით მე საშვალება მომუ-მოდა სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი მა-ინც გამეთვებია.

ბევრი ფიქრის შემდეგ, რათგანც შეუძ-ლებელი გახდა ჩემი ოჯახზე მოწყვეტა, გულ-დაწყვეტილმა დედამ დამაწყებია ანბანი.

დღე უნდა ყოფილვიყავი ყანა-ვენახში, რო წყალი მაინც მიმეტანა მოხუც მშობლე-ბისთვის, ან ხარ-ძროხისთვის უნდა მიმეხედა. ლამე—კი მამაკაცური შრომით დაღლილი დე-და, ისე არ მოასვენებდა, რო ორიოდე პწყა-რი მაინც არ გავეტარები მკრის მხჩოლავ უჟევ.

მახსოვს, მეტყოდა ხოლმე: „ისწავლე, შეიძლო, თორე უსწავლებელი აღამიანი და ბრძან ერთია.— რომელმაც თვისი დელაენა მა-ინც არ იცის, ის ვერც თავის მოქმედს და ვერც თავისი თავს ვერაოდეს ვერ გამოადგება. ჯერ, ასე წევიდეთ იოლათ, მერე, ღმერთი შემძლებიებს და სასწავლებელში მიგამარებ.“

არც მე ვიყავი უსულებულო, უნიჭო ახ-გაზდა.— ძლიერ შემაყვარა დედამ სწავლა.

წელიწად ნახევრის განმავლობაში, გვა-რიანათ შევისწავლე წერა— კითხვა. შემდეგ— კი უბედურმა დედამ ამისრულა დანაპირება. ერთ დილა აღრიანა, ჩამილაგეს, თუ რამე

იყო ჩემთვის საჭირო, ჩამიკრა დედამ მაგრათ გულში მშობლიური გძნობით. გამომეთხოვა იმედიანი სიტყვებით, რო მაღმალე მნახავს და გამომამგზავრა მამამ მეორე სოფლისკენ, სი-დანც, სიახლოების გამო, შესაძლებელი გამდე-ბოდა სასწავლებელში სიარული.

თუმცა ძლიერ მეფერებოდენ მობინავენი, რომებთანაც დამტოვა მამამ, მარა პირველ ხანებში მომეწყინა. ჰომენატრა მშობლები, პატარა მეგობრები. დედის ტებილ ალექს ქვეშ, სწავლის შეჩვეულს, მემწარა მასწავლებლის, ხან და ხან, მკაცრი კილო... ბევრჯელ ვლვარე ცრემლებიც. მარა, როგორც მოსა-ლოდნელიც იყო, ეს გარდამავალი სევდები— მალე გაქრა—უკველივე შევითვისე და შევე-ვიე... ოჟ! ის-ლა ბჭყინავი ნათლათ ჩემ ხსო-ვნაში! მხოლოთ ის-ლა შერჩა ჩემ გძნობა—გო-ნებას ტებილ მოსაგონებლათ, ის დაუბრუნე-ბელი სიყმაწვილის ბეღნიერებით სავსე წუთე-ბი!! ღმერთო! რა სიცოცხლის მოუსვენარი ტალღები ირეოდა მაშინ ჩემს არსებაში. რა სიხარული, რა აფთოვანება მიპყრობლა! თავს წისქვილის ქვა უნდა შემოვიბრუნოთ და ისე შევმასოთ, როგორც სხვები არიან შემოსილით, რო გული არ დაეჩაგროს”-- ეტ-ყოდა მამას. მოკლეა, ამნაირი დედა მყერდა, მე-კი ვერათდეს ვერაფრით ვერ უამე, რაც დარღი და სისაწყლეარ გამოვაცდევე!!..”-- დე-დის მოგონებამ პყრობილს წითოლად აუმდე-ლვარა გაყვითლებულ გამხმარი ლოყები, მიღრმავებულ—მიღერალ თვალებზე მძივებივათ დაიწყო გორება ცრემლმა. პყრობილი დალუ-მდა.

— „ ჩემს მობინავესთან დამხვდა ერთი შვილი—რე წლის მოწაფე გოგო, — განიგძო პყრობილმა. — ჩემებ, სხვისი შვეული, სასწავლე-ბლის სიახლოების გამო, მოყვანილი.

თუმცა ჩემზე უნცროსი იყო, მარა ძლიერ კარგი თვისების გამოდგა ის გოგო და დაც-მეგობრით ბავშები. მას ყოველივე გამოუ-ლეველათ ქონდა, რაც ძვირფასია ბავშის გძნობა—გონებისა და სურვილების დასაკმა-ყოფილებლათ, რაც ცხადსა ყოფდა იმისი მშობლების არა სიღარიბეს. მარა ფოფი—ფოფის უწოდებდენ მას—ერთ თხილსაც არ გატეხდა უჩემოთ, ისე შევუყარდი. მეც მიყვარდა იგი ბავშური უმანკა სიყარულით; ვაი, მისი ბრალი, ერც ფოფის წყენებას გა-ბედავდა. ქვითა და ჯოხით არ დაგზოვდი, ვინც გინდა ყოფილიყო.

ისიც ბევრჯელ წამომეშველებოდა ბავ-შებთან ჩხუბის ლროს და, რო ველარის გამწ-ყობდა ხოლმეც, წიაქით დაეშვებოდა სალხის-კენ.

როცა სწავლა მოტეხბუდა, ჩატების გუნ-დივით მოვედებოდით ახლო—მახლო გზაშიდ-ვრებსა და ერთი ცელქობით მივეშურებოდით სახლებისკენ.

მიდიოდა დღეები, თვეები— უამაა უფარ-ულისკენ. კსწავლობდი ნიკიერათ, ვხარობდი ჩემიდა სხვისი სიცოცხლით და, არ ვაცოდი, თუ მალე მოელებოდა ბოლო, თუ იყო დასა-სრული ყოველივე მისა.

მინა რაჭელე.

(შემდევი იქნება)

ზაღვერის ძველ რკინიულ ჭაბურზე.

დაადგები მოკლე ბილიქს და შედიხარ ულრანს ტყეში,
იქ ხევია, ვიწრო ხევი, მსგავსს ვერც ნახავ თავის დღეში.
ფიჭვ-ნაძვნარი და წიფლნარი იქ, ისე ტოტ დახრილი,
რო დიღილან საღამომდი, მზიან დღეშიც, არი ჩლილი.
იქ მზის სხვი ვეღარ ატანს, ხშირ ტოტიან ლურჯ ტყის კარავს,

მთის კალთები, ხევის ირგვლივ, აქ მკრთალ ბინდ-ბუნდს დაუფარავს.

აქ ყოველთვის სიჩუმეა, მხოლოდ სიო, თუ დაქროლებს,

დაფიჭვ—ნაძვნარს, შიფლის ფოთლებს— კოცნის სუნთქვით შეაკრთოლებს,

ან და ჰაერს გააღვიძებს ფრინველთ სტვენა, ფრენა ფოხილი,

ხან—კი შორით მოიტრება ყრუ ხევ—ხუკის მოძახილი...

და, აი, აქ, მთის ძირებში, სკამებია გამართული,

და იქავე ქვის კედელი, აშენებულ — ამოსხშული,

კედლის შეა კუშტ მოხუცის სახე არი გამოთლილი...

იმავ „მოხუცს“ გძელ წვერის, კბილებში აქვს რკინის მილი,

იმ მილიდან რკინეული, ბროლის წყარო მოქუხს გრილი.

იქვე, ახლო, დარაჯი ზის, სიბერისგან თავდახრილი...

აქ დილიდან საღამოში განუწყვეტლივ არი ხალხი:

მოხუცი და ახალგაზლა, კაცი, ქალი, მრავლათ ბალლი...

რიგი მოდის, რიგი მიდის, სხედან აქა, დგანან იქა,

რიგ — რიგობით წყალსა სვამენ, ხელთ უპყრიათ ბოთლი, ჭიქა,

კვლავ მიდიან, კვლავ მოდიან, ლამაზ ხევს ვერ შორდებიან,

ტყის ჩილოში გრილდებიან, მკურნავ წყლით ჯანსაღდებიან.

ვიშ, ბუნებავ! მრავალფერო, რა უხვია შენი მკერდი,

შენი ეშით მოხიბლული, სულ შენ ვიმღერ და ვიმღერდი...

მინდა შენი სიბძნის წიგნი, ჩემებ, სხვებმაც წაიკითხოს,

რო შევიტქონ, შეგიყვარონ, აღამისძემ თავსა კითხოს;

მოშხიბლავი შენი მკერდი, რათ აქცია ტანჯვის ბალათ.

როცა ყველას — კი თავაზობ შენ სამკაულს უხვათ, ლალათ...

ი. სიხარულიძე.

ჭაოვერი—იგნისი 1907 წელი.

კონტრავოლუციონერების პინალიზა ან იციან.

მინისტრების ორგანოში — „მუშის გაზეთი“ (Рабочая газета № 82) წერია: „Въ воздухѣ носятся явные признаки мобилизующей контроль революціи. Намъ неизвестенъ штабъ ея неизвестна степень ея организованности. როგორც ხედავ მკითხველი, „მუშის გაზეთის“ თანამშრომელებს ვაუგონიათ და გძნობენ, რო კონტრავოლუციის სუნი დის ჰაერში და არ იციან-კი, თუ სად ბინადრობენ და როგორ მუშაობენ კონტრა-რევოლუციონერები.

ამ პატარი წერილში ვეცოტები, თუ „მუშის გაზეთის“ თანამოაზრები არა, სხვა მარც დავარწმუნო, თუ სად და როგორ მუშაობენ კო-

ნტრა-რევოლუციონერები. ვიდოთ პირველათ სევასტოპოლის ამბები. ყველამ იცის, რომ იქ, კრონშტატელების შემწეობით, დიდი აურზაური მოხთა. მარა რაში გამოიხატა ეს აურზაური? იმაში, რომ იქიდან გამოიქაცა ფლოტის უფროსი კალჩაკი და დაიჭირეს რამდენიმე რეაქციონერი აფიცერი. თურმე, სევასტოპოლის ფლოტი კონტრა-რევოლუციონერების ბუდე ყოფილია. აფიცერები და კალჩაკი, როგორც მან ჩვენების დროს, პეტროგრადში მდინარე თქვა, მომხსელ ყოფილან ობის ბოლოში წარმოების ისე, როგორც მილიუკოვი და გუჩკოვი. იმათ სასაცილოთაც არ ყოფილი იმ ფორმულით, რომელიც რუსეთის რევოლუციონურმა დემოკრატიაშ წამოაყენა.

ვისაც რუსეთის და დემოკრატიის ფარ-

მულა არ წამს, ომის შესახებ, ის არ არი მომხრე პატარა ერების გათავისუფლების. ცინი მომხრე არიან, როგორც თავის გაზეთება და ბიულეტენებში ამტკიცებენ, ჯერ ერთი ანექსის, ე. გ. პატარა ერების იარა ღით დამორჩილების და, მერე, მომხრე არიან-რუსეთის მთლიანობის (стоять за цельность России). ასეთი პირები იდგენ სევასტიონის ფლოტის სათავეში და, სანამ მათ, კრონშტადტის მეზღვაურების წყალობით, ნიღაბი არ ჩამოაგლიჯენ, რო გეკითხათ, ან სამხედრო მინისტრის კერძ-სკისთვის, ან „მუშათა გაზებასთვის“, ისინი გიპასტრებდენ, რომ ეს ერთად ერთი ფლოტია, რომელმაც შეიგნო თვისი ვალდებულობა და სწორ გზას ადგიაო. ეს კიდევ რა. არ გაუვლია რამდენიმე დღეს და პეტროგრადში სუვორინის თჯახის ინიციატივით გამოსულმა „პატარა გაზეთმა“ (Маленькая газета), რომელიც პეტროგრადში გამოდის, ვრცელი მოწოდება ჩამოუშვა, სადაც მოქალაქეთ და რუსეთის მცხოვრებლებს მოუწოდებდა კალჩაკი დიკტატორათ ვაეხადათ და ბოლო მოეღლოთ ყოველივე სოციალისტური აგიტაციისთვის. პატარა გაზეთის რედაკტორი დაიკირქს, ჩვენება ჩამოართვეს და მეორე დღეს გააცხადეს, რო მანდამანც საშიში კაცი არ არის და გათავისუფლეთო. კალჩაკისთვის-კი არც უკათხავთ, თუ რა კავშირი აქვს მას, ან ამ „პატარა გაზეთთან“, ან კანტრრევოლუციისთან. კიდევ უარესი, რო გაზეთი არც დახურეს.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის დიკტატორობას ქადაგებდა აგრეთვე გაზეთი „ტელეგრაფი“ ფინლიანლიაში, რომელსაც ძველი რეაქციონისტ ზოგ გაზეთების თანამშრომები სტაბივენ და, სანამ მუშებმა არ დაანებეს ამ გაზეთის ბეჭდვას თავი, კაცს ხმა არ ამოუღა მათ წინაღმდეგ. ერთ სოფელში, პსკოვის გუბერნიაში, ღვდელი პატოვი არშმუნებდა ხალხს, რომ ახალ მთავრობას ეკლესიები თვა-

ტრებათ უნდა გადააკეთობო. ხალხი ძალიან ააღმდეგ ასეთში აგიტაციამ და, დიდი სჯა-ბაბის შემდეგ, როგორც იქნა, უფრო შევნებულმა გლოხებმა დაარწმუნეს ხალხი, რო ღვდლის ნათქვამი სიცრუვეა და ეკლესიებს არავინ ხელს არ ახლებსო. ვაჟბატონი პაპოვი-კი ახლაც განაგძოს იმ სოფელში სამახურს და, აღმათ, კიდევ ამხედრებს ხალხს, მოძრაობის წინაღმდეგ. მოვიგონოთ ახლა, რომ არც ისე დის ხანია, ღენერალმა ბრუსილოვმა ფრონტზე მოიწვია რამდენიმე პროფესორი და გამართა ლექციები მეუმრავლესეების წინაღმდეგ. იმაზე სოციალისტ მინისტრს კრანტიც არ დაუქმიათ. მოვიგონოთ ალექსეევის ისტორია, რომელსაც კერძნსკი დიდი სიხარულით კონიდა. ალექსეევი გამოდგა ნამდვილი რეაქციონერი და ღრმებით მთავრობამ, თუმცა მართალია, გადააკენა, მარა სამაგიეროთ, ისეთი ატესტაცია მიცა მას, რო, მგრძნი, სოციალიზმის განვითარების დროსაც გამოადგეს. მოვიტან აქ რამდენიმე სიტყვის პილიუკოვის წერილიდან, რომელიც „ახალ ცხოვებაში“ იყო მთავაებული: პილიუკოვი წერს: „ჩვენ, „საზისალი ბურუუაზია“ ნალე დაგიმტკიცებთ, რო თქვენ ჩვენთან ევრაფერსაც გახთებით. ძველი მორწმუნები, (старовѣры) კაზაცები და საღვდელოება უკვე ჩვენია, თუ ომი გაგძელდა, ჩვენი ძაღლი თანდათან გაიზდება და თქვენ მალე დაგაჩიქებთ ჩვენ წინაშეო. „

ეს წერილი ღია ბარათზე იყო დაწერილი ღამეორე მხარეზე ეხატა ხმალი წარწერით: „მტკრი უნდა დავიმორჩილოო, მანამდი ზავზე დაპარაკი შეუძლებელია“. ეს სიტყვები, როგორც ეტყობა, წერილის ივტორს ნიკოლოზ მეორის სიტყვებიან ამოუღია, რომელიც ნიკოლოზმა 14 იქნის, 1915 წარმოათქვა. აქვე წერია: „ურთყო მას, განც გაბედოს დამამცირებელებელ ზავზე ლაპარაკიო.„ დამამცირებელ ზავით — კი იმ ვაჟბატონებს ესმით ზავი იმ ფორმულით, რომელიც რუსეთის დემოკრატიაში წამოაყენი.

ამას გარდა, მკითხველს, აღმათ, არა ერთი წერილი წაუკითხავს ფრონტიდან და მიყრუებულ უბნებიდან, საღაც სალდათები და ხალხი ჩივიან, რომ არც ერთი სოციალისტური გაზეთი მათ არ მოდით, მაშინ, როდესაც ბურჟუაზული გაზეობით და მათი მოწოდებით ავსებულია, როგორც ფრონტი, ისე სოფლები.

ამაში შხოლოთ ფასტის ის მოსამსახურებია დამნაშავენი, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ ნიკოლოზის და მათი მინისტრების ნდობით. საჭირო იყო, რომ ამ ვაჟბატონებიდან გაწმენდილიყო ყველა დაწესებულებანი. მარა ჯერ აშავ არავის უფიქრია, და მოხელეები — კი კონტრ-რევოლუციონურ მუშაობას განავძენ თელი თვისი ძალ-ლონით. ახლა ვნახოთ, სად არის ამ კონტ-რევოლუციონერების მთავარი შტაბი და როგორ ეპყრობა მათ მთავრობა.

ყველას ახსოვს, ის ისტორიული დღე, როდესაც პეტრ-უგრადში კაზაკების წარმომადგენლების სიეზდი გაიხსნა. იქ გამოვიდა გუჩივი და მილიუკოვი. მათ გააცხადეს, სოციალისტებმა თქვენი წმიდათა წმიდა ფეხით გათელეს.

თქვენ იყავით, კაზაკებო, რომ ანექსით ადიდებდით დიდი რუსეთის ტერიტორიას, კონტრიბუციით — კი ამდიდრებით და აწყობდით მასო. დღეს — კი ყველა ეს ფეხით გათელეს და თქვენ ანგარიშსაც არ გიწევენო. საჭიროა, რო თქვენ იდვათ თავზე, პირი უბრუნოთ რევოლუციის და რუსეთის ხალხი ისევ ძველ სწორ გზაზე დააყენოთთ. შტაბიც სწორეთ იქ არი, საღაც ესენი სხედიან. და, როგორც იყით, ეს პირები ორივე სახელმწიფო დუმაში სხედან. თვის გამოსვლებით, ისინი კრეფენ კონტრ-რევოლუციონერებს სახელმწიფო დუმაში, ამათთან მომუშავენი და თანამოაზრები სხედან დროებით მთავრობაშიაც, რომიანკო, ლეკოვი და სხვა. ასეთივე აგრძაციას გაწევს მაღლ სახელმწიფო საბჭოც, რომელიც თან და თან სულს იღებს.

ასეთივეა უწმიდესი სინოდიც... ყველამ იცის, რო რევოლუციის პირველ დღიდანვე, ამ დაწესებულებებს ბოლო უნდა მოღებოდა. მარა ასე როდი მოხთა. დღეს სახელმწიფო დუმა, ისეთ მუშაობას ეწევა, რომ ისე ვეგონება, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოა ხალხის ნდობით აღჭურვილია.

რასაკვირველია, ბოლო უნდა მოღებოდა ამ ძველი, დამყაყებული დაწესებულებათა არ სებობას თავის — თავათ. მარა ბოლო არ მოეღო, არც მას შემდეგ, წარმოიდგინეთ, რაც ეს თელი რუსეთის სალდათთა და მუშათა საბჭომ ცნო საჭიროთ და აუცილებლათ. დროებით მთავრობამ, რომელსაც ამ დაწესებულებების დახურვა მიენდო, მიუხედავათ იმისა, რომ იქ საბჭოს წარმომადგენლები შედიან, პილატესავით, ხელი დაიბამა ამ საქმეში. ეს ასეც უნდა მომხთარიყო. მიტო, რო თავის დათმიბითი პოლიტიკით, სოციალისტი მინისტრები თვითვე ლესვენ თავის დასაკლავ დანას, თორე რომიანკო და ლვოვი როდი აუქმებენ ისეთ დაწესებულებებს, რომლებიც მათ ინტერესებს გულით ემსახურებიან.

სახელმწი. დუმა, გათქმული რუსეთის სინოდი და მალე საბჭოც განავძობენ თავის კონტრ-რევოლუციონურ მუშაობას, ჯამაგირის აღებას და შავი ძალების კრეფას მანამ, სანამ — რუსეთში არ შეიქნება, ისეთი მთავრობა, რომელსაც შეეძლება დააკმაყოფილოს დემოკრატიის ყველა კანონიერი მოთხოვნილებანი.

მუშათა გაზეთი, მისი თანამოაზრები და, მათ მიერ დროებით მთავრობაში გაგზავნილი გინისტრები, ძალიან ბევრს გაიძახიან რევოლუციონური ჯარის და მუშების იარაღის ჩამორთმევაზე და იმას — კი ანგარიშს არ უწევენ, დალოკვილები, თუ რას ჩადიან შავი ყორნები, დიდი სკიფური მამალი ყორნები!...

დაჯერებულივარ, მკითხველმა დაინახა, თუ სად არი მთავარი შტაბი კონტრ-რევოლუციონერების და, რათგან მთავრობა უძლურია და, პირიქით, ხელსაც უწყობს კონტრ-რევოლუციის, საჭიროა თვით მასაც შეუ-

დგეს სისტემატიურ, გაბედულ პძოლას ამ შავი ძალების წინააღმდეგ და, რაც შეიძლება, აღრე და მალე შოთხოვოს, რო რუსეთის მართვა-გამგეობის საქმე გადავიდეს დამფუძნებელ კრების მუშაობის დაწყებამდი, გლეხა წარმომადგენლების ხელში, თორე მალე, ძალიან მალე უარესი მოგველის.. და ამას ხელს უწყობს ომის გაგეობრაც... მოვლენ ვაჟბატონები, როგორც სახელმწიფო დუმიდან, აგრეთვე საბჭოდან და, სინოდიდან თავის ამალით და გვეტყვიან: ჩვენ აკტიაბრისტული მაგარი მთავრობა გვინდაო. სწორეთ მაშინ იგივე რომიანკო, რომელთანაც ახლა სიკიალისტი მინისტრები მუშაობენ, ქველებურ მუხრუშეს მოუჭერს ყველას, მაუხედავათ იმისა, დათობით პოლიტიკას იწარმოებდა იგი, თუ უფრო რევოლუციონურ გზას იდგა.

ნიკ. ფანცხავა.

ქ. მოსკოვი. 30 მაისი.

რუსთის რევოლუციის და საქართველოს აპტონომია*

(დასასრული).

მდგომარე წლის, 27 თებერვალს, სამუდამოთ დაეჭირ ის საშიშარი დესპოტური მთავრობა, რომელიც, 116 წლის განმავლობაში, ჩვენ სისხლსა სვამდა და კიდევ ვერ გამძლარიყო. 27 თებერვალს იქეთქა დიდი ხნის დაგუბებულმა გამწარებაშ, რომელმაც დაასხრია ნიკოლოზის მყუდროება და დამკვიდრა „ქვეყნას ზედა მშვიობა და კაცთა შორის სათნოება“ (!)

116 წლის განმავლობაში, დატანჯულმა ქართველებმა, დღეს თავისუფლათ ამოვისუნთქეთ. ამ ამოსუნთქევას თან ამოყეა, თელი 116 წლის განმავლობაში ღრმათ დაგუბებული ნაღველიც. გათავისრულდა რუსეთი და გათავისუფლდა საქართველოც. (!) ახალმა ღრმებითმა მთავრობამ, რომელშიაც შედის ქართველი?

*) იხ. უურ. „თავისუფლება“, № 7.

ველი სოციალ-დემოკრატი, კაცი (ირაკლი) წერეთელი (ფისტა-ტელეგრაფის მინისტრი), მისნათ დაიახა დატექსებულ ერთა სრული თავისუფლების მინიჭება (სამოიპრედჭლენიე მარიანისტა) და დღიდან „გამეფეხების“ იშუო კიდეც მაჩნის გამორციელება. გამოაცხადა პოლონეთის; ფინლანდიას (ფინეთის) დამოუკიდებლობა, ხომეოს, უკრაინის, ლიტვის და სხვა ერების ავტონომია.

ავტონომია მოიახოვეს: უკრაინელებმა, ბელორუსებმა და, ერთი სიტყვით, ყოველმა დასაგრულმა ეროვნებამ. ავტონომია მოვითხოვეთ ჩვენც და მოვითხოვეთ სამართლიანობაც. სამართლიანათ მეტენ, მოგახსენებთ იმიტო რო-თუ სხვას აქეს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნის ნება, ჩვენ მით უმეტეს. ჩვენ გვეკუთნის სამართლით ავტონომია და, აი, რატომ: ომის ქარცეცხლმა 350 ათასი ქართველი შეიწირა. ეს რიცხვი გამოაგრინებულია სამი-ოთხი თვეის წინათ და იხლა, თუ შეტერ არა, ქართველების რაცხვი, ე. ი., ბძოლის ველზე დახოცილ ქართველ ჯარის კაცთა რიცხვი 400 ათასს მაინც აღმარება. მერე, რისხის, ან ვისთვის შეწირა პატარა საქართველომ ამდენი სხვერბლი? ზოგიერთი შეტყვის: სამშობლოს ვალუადითო. ვისგან ვილავდით სამშობლოს? ნემცებილან? როგორ ფიქრობთ: საქართველოსთვის ვილგელმ მეორე და ნიკოლოზ მეორე ერთი არ იქნებოდა? ვილგელმის ხელში უფრო ბევრს დაკარგვადა საქართველო, ვიდრე ნიკოლოზის ხელში? არა გონია, რო საქართველო უარეს განსაკუთრებით ჩაერღმილიყო ნიკოლოზიდან, რო ვილგელმის ხელში გადასულიყო. ჩემი აზრით, დღიული შესაძლებელია, საქართველო ვილგელმის ხელში უფროც აუცავდებოდა, უფრო თავისუფლათაც იცხოვრებდა, ვიდრე ნიკოლოზის ხელში. ეს კიდევ არა კმარა. ვილგელმს, რო საქართველო თურქების სულთანისთვის გადაეცა, ჩვენ უფრო ბელნიერიც ვიქებოდით, ვიდრე ნიკოლოზის ხელში. მაშ, რისთვის დაეკარგეთ 400 ათასი ვაშკაცი ქართველი? რატომ არ მივემსრულ ვიგველმ მეორეს?

არა! ქართველი ხალხი არა დროს არ ყოფილი ღალატს ნაჩევევი. შეიძლება, ერთმანეთისთვის ერალატნათ. მარა გარეშესთვის არაოდეს! ქართველ ხალხს ძულდა ნიკოლოზ მეორე და ოცლი რუსეთის მთავრობა, უყვარდა და უყვარს რუსის დემოკრატია. ქართველებმა ვიცოდით, რო მთავრობას-კი არა, ხალხს ვუდალატებდით. ჩვენი ღალატით რუსის ხალხი შეიწროვდებოდა, რუსის ხალხი დაიტანჯებოდა და, ი., მმობა-ერთობის კულტურულეთ მაძიებელმა ქართველმა ხალხმა მედგრაფ მიაშურა საერთო მტერს. ქართველი ხალხი იცავდა რუსეთს, იცავდა რუსის ხალხს და, ი., სწორეთ ამ რუსის ხალხში, რუსეთის მებძოლმა დემოკრატიამ უნდა, მიანჭის მას თავისუფლება. ანდა, რა უფლება აქვს ახალ მთავრობას, რო სრული პოლიტიკური იყტონია არ მოვცეს? ახალმა მთავრობამ, ხო კარგათ იცის, რო ძველი მთავრობა ჩვენზე ძალას ხმარობდა; ახალმა მთავრობამ ხო კარგათ იცის, რო ჩვენ მისი ძალის წინააღმდეგ ვერ მივდიოდით? მერე, რა არის ახალი მთავრობის ლოზუნგი? ის, რომ ისევ ძალმომრეობის პოლიტიკა აწარმოვოს, თუ ის, რო ძევლი ცოდვები, ჩვენი სისხლით გაუმძღვარი მთავრობისა გამოიყიდოს და თავისუფლება მოვდანების, ძალათ წელი გამოვიწოდოს? ახალი მთავრობა, არა მგრნია, ისე მოიქცეს, როგორც ძველი იქცეოდა. მარა ჩვენც უნდა ამოვილით ხმა, ჩვენც უნდა მოვაგონოთ ახალ მთავრობას ის, რაც დაუყონებლივ უნდა მოგვიცეს. ჩვენ ამას მოვითხოვთ, რათვანც ეს გვეკუთნის. ჩვენი ხსნა, საქართველოს პოლიტიკურათ, თუ კულტურულათ იყვავება მხოლოდ და მარტო ივტონობის შექმნია! რა არის აცტონობია?

ავტონომია არი ბერძნული სიტყვა და ნიშნავს თვით-კანონ-მდებლობას. ავტონომია თავისუფლებაა. ივტონობია ის არი, როცა იღამიანს, სხვის დაუკითხავთ, ეძღვეთ სრული თავისუფლება, განავის ყოველივე შინაური ცხოვრება. შარა საჭე ის არი, რო ამ სხვადა

სხვა ხალხში, ზოგი მათგანი მიღევს ხვნა-თექვას, მიწის მუშაობას, ზოგი მრეწველობას, ზოგი მეჯორებას და სხვა მრავალ პროფესიებს. უკრაინაში და საქართველოში ყველა მიწის მუშაობას მიღევს, ურომლისოთაც ცხოვრება არ შექმნია მაშინ, როცა მოსკოვის გუბერნიაში მრეწველობა არი გავითარებული. ზოგი ერთი რუსეთისა, სხვა ერთან შედარებით, მაღალ კულტუროსანია, ზოგი-დაბალი. ზოგს აქვს თვისი მდიდარი ლიტერატურა, ზოგს - ღარიბი და უნდა თანდაობან გაავითაროს იგი. როგორ ფიქრობთ: ამ სხვა და სხვა კულტურისა, სხვა და სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხს, ერთი კანიონი დაჭირდება? არა და არა? ამ სხვა და სხვა ხალხს, სულ სხვა და სხვა საჭიროებანი აქვს, სხვა და სხვა პირობებში ცხოვრისენ, როგორც კულტურულათ, ისე პოლიტიკურათაც. ამ სხვა და სხვა ხალხს სულ სხვა და სხვა ინტერესები ამოძრავებთ და მათი ერთ ფარგალში მომწყვლევა, ყოვლათ შეუძლებელია. მე არ მინდა ამით ვოქვა, რო ქართველები, ან სხვა ჩვენისან, პირობებში მცხოვრებნი, რუსეთს გამოვეყოთ და ცალკე სახელმწიფო დავიარსოთ მეთქი. არა. ჩვენ კარგათ ვიცით, რო ძალა ერთობაშია. რუსეთის ჩვენ საერთო ინტერესებიც ბევრი გვაქვს. ამიტო ჩვენი იდეალია, რო საქართველო რუსეთთან განუყრელი იქნეს, საერთო საქმე მთერთად იყეონ.

ამას გარდა, ე. ი., საერთო საქმის გარდა, ყველა კუთხის აქვს თვისი საკუთარი საქმები, რომლებიც არც ერთ კუთხს არ შეეხდა. შინაური საქმის მოსაწესრიგებლათ, დემოკრატული სახელმწიფოები აარსებონ აღვილობრივ კანონმდებლობას, პარლამენტს. ი., ასეთ კუთხს ქვია ივტონობათ მოწყობილი კუთხე. რუსეთის ყოველი გამოჩენილი სოციალისტი აღიარებს შეიწროებულ ერის ტერიტორიაზე, თუ კულტურულ ივტონომიას. ტერიტორიალური იმისთვის, ვისაც ტერიტორია შეჩენია, ხოლო კულტურული ივტონომია იმისთვის, ვისაც ტერიტორია

აღარ აქვს. ერთი პარლამენტი, ვიმეორებ, ვერ განაგებს ყველა განაპირო ქვეყნების საქ მეს. ვერ განაგებს იმიტო, რო შორს იქნება და ჩვენ საჭიროებაზე დაშორებული წარმოდგნაც არ ექნება.

ცენტრალისტური პარლამენტი შეიმუშავებს და გამოცემს იმ კანონებს, რომლებიც საჭირო იქნება მოსკოვის, ან პეტროგრადის გუბერნიაში მცხოვრებისთვის. ეს კანონები ჩვენთვის ყოვლათ გამოიუსალებარი იქნება ისე, როგორც თვითისში გამოცემული კანონი პეტროგრადელ მოქალაქისთვის. რომ ეს ასე არ შოთდეს და ყველა კუთხის საჭიროებანი დაუკმაყოფილებელი არ დარჩეს, რო ხალხი უკმაყოფილო არ იქნეს ოვისი მასერობის, როგორც ეს იყო ნიკოლოზ მეორის დროს, ადგილობრივი მცხოვრებლებმა უნდა ამოირჩიონ, ვისაც ენდობინ და დაავალონ შინაური საქმეების მოწესრიგება და ადგილობრივ ცხოვრებისა და პირობების შესაფერი კანონების შედგენა. ვინ უფრო კარგათ იცის საქართველოს ამბავი, ვინ უფრო კარგათ იცის, რა მოუხდება ჩემი სოფლის გლეხს: მე, თუ პეტროგრადელმა მოქალაქემ? რასაკირველია, ჩვენდა, ამიტომაც, ჩვენ უნდა შევადგინოთ კანონები, ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენი თავის პატრიონი. ამას ქვით თავისუფლება, ამას ქვით ივტონომია! ამ ნაირათ, ივტონომია არ ნიშნავს რუსეთისან გამოყოფას, ან ბატონ-ყმობის აღდგენას, არამედ ივტონომია იგივე თავისუფლებაა. ივტონომია საქლომწიფოს განუყრელი ნაწილია.

როგორც ვიცით, ინგლისში მანარქია, რომელსაც ძალიან ბევრი სამფლებელო აქვს სხვა და სხვა ქვეყნებში. დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისს თვისი სამფლობელო ბისთვის სრული ივტონომია არ მიენიჭებია, ახლა ყველა ჩამოშორებული იქნებოდა ინგლისს. ერთად ცხოვრობენ, ყველა თავისუფლები არიან, ყველას ივტონომია აქეთ მინიჭებული. აქიდან ის დასკვნა გამომაქვს, რო ივტონომია-კი არამედ აცალკებს ერთ შხარეს მეორიდან, არამედ

მციდონოთ იყავშირებს. ივტონომიამ დიდი ნაყოფი ვამოიღო ავსტრიალიაშიც, სიდაც მუშათ პარლიამ თვისი სამინისტროც-კი დაიარსა. როგორც გამოირკვა, ივტონომია მეტათ ხელ-საყრელი ყოფილი, როგორც სხვა და სხვა კუთხისთვის, ისე თელი სახელმწიფოსთვისაც. ამიტო საჭიროა, ახლაც საქვეყნოთ გავაცხადოთ ჩვენი ტყიყილები.

ახლი ღრმებითი მთავრობა სოციალისტებისგანაც შედგება, რომლებიც ყოველი ერის გათავისუფლებას აღიარებს. ჩვენი სხნა მხოლოდ და მარტო ტერიტორიალურ-პოლი-ტიკურ-ეროვნულ აფტონომიაშია! საქართვე-ველის ავტონომიას არავინ მოითხოვს, თუ ჩვენი ავტონომია ჩვენ მომე რუსის ხალხს რა-მე ზიანს მოუტანს. მარა ზიანს კი... არა, პირიქით, რუსეთი ბევრათ წინ წაიშვეს. განა რუსის ხალ-ხისთვის ერთი არ არი, ჩვენში მართვა-გამგეობის, როგორი ფორმა იქნება? „პოლიტიკური ავტო-ნომია გულისხმობს, რომ ადგილობრივმა პარ-ლამენტმა უნდა გამოცეს პოლიტიკური, სო-ციალური და ეკანომიკური კანონები, განა-გოს ადმინისტრაციული და საერობო საქმეე-ბი. ცენტრს, ე. ი., პეტროგრადის პარლამენტს და მთავრობას ნება არ ქონდეს ჩატორის შინაურ საქმეებში. ერთი სიტყვით, ყოველი ერი დამოუკიდებელი, ოვისუფალი. უნდა იყოს, თვისი შინაური პოლიტიკურისა და აღ-მინისტრაციული საქმეების მოწესრიგებაში“.

სოცელი და გლეხობა.

III

საქართველო პოლეტარების ქვეყანა არ არი. საქართველო შეურნობის ქვეყანაა. შეურნობაც ვერ არი ჯეროვანათ დაყენებული და, აი, რატომაც. მესაკუთრეთა რიცხვი სა-ქართველოში 2/3 აღემატება. მარა შესაკუთრებ არი და მესაკუთრებ! ზოგი იმისანა მემოშულე მოიძებნება, (თუმცა ახლა ძვირათ), რო მის აღვილებს კარგი ლაფშა ცხენით ვერ შემოუკლი თელი დღე, რომ იარო. ხოლო ზოგი და, უმეტესი ნაწილი, რომ კვალი მიწით

ძლივს ცხოვრობს და, განა ამისანა ცხოვრებას ცხოვრება ეწოდება?

ამის და მიუხედავათ, ჩვენ გლეხებს არ შეიძლება პროლეტარები ვუწოდოთ. ჩვენი გლეხების უმეტესი ნაწილი მეურნობას მიღევს და მას გაპროლეტარება—კი არა, მიწა ესაჭიროება, მიწა! მიწაა ჩვენი გლეხისთვის (ქადათ და სიზმარში სანატრელი).

ვიმეორებ, ჩვენი ქვეყანა მეურნობის ქვეყანაა. ქართველები მეურნენ არიან. ქართველების უმეტესი ნაწილი სოფელში ცხოვრობს, მეურნეობას მიღევს და ამიტო „გაუმრჯოს პროლეტარიატს“—კი არ უნდა ვიძახოთ სულ, არამედ უნდა გავიდეთ სოფლათ, შევიწავლოთ, თუ რაა გლეხისთვის საჭირო და მაშინ მოვითხოვოთ ერთ ხმათ და არა სხვის ფეხის ხმას აყვეთ. სოფელია უმთავრესი ჩვენი სამოლვაში ასპარეზი. რა უნდა გავაკეთოთ დღეს სოფლათ?

სოფლათ დიდათ დიდა, აუარებელი საქეა გასაკეთებელი და დღესვე, დაუყონებლივ უნდა შევუდგეთ მის კუთხება! დაუყონებლივ უნდა მოვედოთ სოფელს კეთილ სურვილებით გამსჭალული, მრავალ ტანჯული გლეხის მოყვარულები და კვირაში ერთხელ მონც (კვირაბით, რო საქმის დღე არ ვაკორს) გავმართოთ მიტინგები, მარტივათ, სახალწო ენით აფუქსნათ მათ თანამედროვ საკითხები. ბევრი სოფელი ჯერ ისევ ძველ საფეხურზე დას. მეზობლები მოწიდინებული არიან, რო ერთმანეთს რამე აწყენინონ.

თუ რომელიმე მათგანმა რამე შეიძინა, სხვა დანარჩენები შეურის თვალით შეჩერებიან. თუ გვინდა, რო ჩვენი ცხოვრება გაუმჯობესდეს, თუ გვინდა, რო თავისუფლებამ ფეხი მოიკიდოს და სამუდამოთ დამკიდრდეს, უნდა ამოვუდგეთ ერთმანეთს ვევრდში, დავეხმაროთ ერთმანეთს, ვასაწვლოთ ღარიბი უსასყიდლოთ და ჩვენი სსნა მხოლოთ ამ გზით შეიძლება. უნდა შევაგნებით ჩვენ მმებს, რო სიყვარულში, მმობაში და ერთმანეთის პატივისცემაში გამოიხატება ადაშანის ცხოვ-

რების პროგრამის მინიმუმი. ჩვენი სოფლები აქამდი სრულიათ უმნიშვნლელო როლს თამაშობდენ. ქართველის ხენება მთავრობის თვალში ზიზღს იწვევდა. ჩვენი გლეხი ძველი მთავრობის ყურმოკრილი ყმა იყო. სრულიათ ხმის ამოუღებლათ უნდა გაეკეთებია. გლეხს ყოველივე საქმე. ისე შეიტანდა სახელმწიფო გადასახადს, რო ერთ სიტყვას არ იტყოდა და ან, რო ეთქვა რამე, ათქმევინებდენ? და, აი, ამ უთქმებლობით ჩვენი გლეხი გულში ჩანვევას არი ნაჩევი. ის ხმის ამოუღებლობას არი მიჩვეული და დიდი შრომა დაგვჭირდება, რო მან თვისი გულის პასუხი გულახდილათ გაგვიცხადოს, თვისი გაჭირება გაგვიმუდავნოს. აი, სწორებ ამიტო უნდა გავიდეთ სოფლათ და გავაგებით ჩვენ მოძრეთ, რო დროა ხმის ამოუღებისა; გავაგებით, რო ისინიც თავისუფალი მოქალაქენი არიან და ამიტო აფითონვე აღიარონ თვისი სურვილები, თვითონვე გაგვაგებით თვისი ტკივილები. „მოსე მწერლებისა“, ურიაღნიკებისა, პრისტავებისა და მამასახლისებიდან, ისე არაან ჩვენი გლეხები დაშინებული, რო კიდევ დიდი დრო გავა, სანამ ისინი თავისუფლების მნიშვნელობას მიხვდებოდენ. ამიტო, ვიმეორებ, საჭიროა, რაც შეიძლება, მარტივათ გავაგებით გლეხებს თანამედროვ მდგომარეობა და მისი მნიშვნელობა. „ჩვენ უნდა ჩავხედოთ გლეხის უანაოცებულ სახეს და მის მარათ დაღვრებილ თვალებში ვეცადოთ, ამოვიკითხოთ ნამდვილი ხების ყოფა გლეხისა“.

შალვა გომართელი.

ს. ა დ დ დ ა ი ს ო

როგორი აღტაცებით, როგორი აფორავნებით და დიდა იმედებით შეხედა თელი რუსეთი, კერძოთ, კავკასია და მასთან ჩვენი საქართველო ძველი მთავრობის დამხობას! ის დიდა იმედები გამოწვეულიყო ბუნებრივი ლტოლევით თავისუფლებისადმი.

დიდი ხნობით, ღრმათ დაგუბრებულმა გძნობებმა, თითქოს იშოვეს დრო, რო შეუ-

კაცებელი სიმძაფრით აშოხეთქილიყო... უნდა საერთო ძლიერს გატაცებას მიცემოდა მდენი ხანი მონობაში ნამყოფი ხალხი ვებეროელა სახელმწიფოსი?

საერთო ნგრევას, რასაკვირველია, უნდა მოყვეს საერთო ამშენებლობაც. ამისთვის დღეს საჭიროა არჩიტევტორები და ყოველი უარგის მოხელეები.

იხალმა ლრომ აუზარებელი საკითხები დაგვიყენა წინ, დიდი ენერგიის და უნარის გამოჩენა არი საჭირო ყოველი მცხვეურის მხრით. რასაკვირველია, აქ, ამ მუშაობაში, პირველი აღილი უნდა დაიკავოს საერთო აღტაცებამ, რათვენ ერთობაშია ძალა. შეერთებული ეროვნული ძალა, იმისანა სტიქიურ ძალის წარმოადგენს, რომლის წინააღმდეგ ბრძალა ძნელია და შეუძლებელია.

რუსთი, თვისი შემაღებელობით, იშვიათ კონგლომერაცის წარმოადგენს. აქ ნამდვილი რუსი—ველიკორუსი არა დიდ ნაწილს შეადგენს და მასთან ნაკლებათ გავითარებულოსაც. სხვა ერები, რუსთის სახელმწიფოს შემაღებელი—კი კულტურულათ, ბევრათ წარჩინებული არიან, როგორც მაგალითად, ფინები და პოლონელები.

ესენი, ე. ი., სხვა ერები. მეუათ მწვავე და დიდათ აუტანელ მდგომარეობას განიცილენ რუსთის მტარვალის მფლობელობის ქვეშ. მით უფრო მწვავე და აუტანელი იყო ეს მათი მდგომარეობა, რო გამეფებული მართველობა და ბატონობა ტლანქი დესპოტიისა არ ზოგავდა არავის ეროვნულ საწმიდეს და უდიერათ თელავდა სხვა ხალხთა ეროვნულ თავმიყვარობას. მისი პოლიტიკა შემადგენელ ხალხებისადმი ერთიანარებული ბრძანით იყო გამჭვალული. მას უნდოდა ძალით გარუსების გზაზე დაეყენება რუსთის ფარგლებში ნებით, თუ უნდობლიერ მომწყდერული ერები და, ამ მიზნის მისაღწევათ, არავითარ ულირსაშვალებას არ თაკილოდა.

ვინც ტანკელი და მიუდგომელი ადამიანის თვალით შეხედას ამ მოქმედებას; მი-

ხვდება, რომ ეს მიზანი სრული უტობია იყო. ერთი, რომ ერთ ყალიბზე გადაქმნა სუკელი შემაღენელ ერების, რომელთაც თვისი საკორი ისტორია, თვისი ტრადიციები აქვთ, მეტათ ძნელია და, მეორე, რუსთი, რომელსაც კულტურის, შედარებით, ცოტა აცხია და, ამ მხრით, სულ ნორჩი, ახალი ხალხია, ვერ შეძლებდა კულტუროსან ერების გადაქმნას თვისი ყალიბზე მათრახებით, ხიშტების მეოხებით და კატორდა — კიბირში გადასახლების დამუქრებით. ეს იმისანა სტიქიური შეუძლებლობა არი, როგორც მდინარის თვისი სათავესკენ ვამრუნება.

ამ პოლიტიკის რუსთის სახელმწიფოს შემაღებელი კუველი ეროვნება ძლიერ ამხედრა თვით რუსთის წინააღმდეგ, რასაკვირველია. საჭმარასი იყო საერთაშორისო ომი, რო რუსთისთვის დამდგარიყო განკითხვის დღე. ამისთვის დიდი პოლიტიკური გამჭრიახობაც არ იყო საჭირო. ამას მხოლოთ რუსეთის გათამამებული უმეტარი პოლიტიკოსები ვერ მიხვდენ და ჩატენ თვისი თავის სრულიათ გამანადგურებელ ომში. —

დაემხო ძველი რეჟიმი. ბუნებრივათ, ნიკოლოზ მეორეც გადადგა, წინააღმდეგობა არ გამოუჩენია, თითქო თვით გძნობდა საძაგლი პოლიტიკის გაგძელების უადგილობას. ახალმა მცხვეურებმა — კი ვერ აუდის ალლ შექნილ მდგომარეობას.

ეს ახალი მერცხლები ვერ მიხვდენ, რო რუსთის სახელმწიფოს შემაღებელი ხალხი მარტო რუსები არ არიან. რომ უმეტეს ნაწილს შეადგენენ ის ერები, რომელთა წმიდათაშიდა, ერაუნულა ეგძნობები მეტათ შელახული, შეგინებული იყალ, დამხობილი რეჟიმის პოლიტიკის წყალობით. მათ ვერ დაადვეს ამ ერთა ღრმა იარებს ის დამშუშებელი, მააბებელი მაღამზა, ურამლისოთ მათი მონაღორება შეუძლებელი შეიქნა ამ დიდი ნგრევა — ამ შენებობის, შემოქმედობის დროს. ბუნებრივი უკრაინელების საქციელი, მაზან შეწილი-ფინების გონიერი მოქმედება, კანონიერია პო-

ლონეთის თავისუფლება და არა დასაძრისი იქნება სხვა ერების თავის თავზე დიდი ფიქრი, თუ დროზე არ ითიქრეს დღეინდელმა მესვეურებმა მათთვის შეების კარის გაღება.

კიმეორებ, რუსეთის ლიბერალებმა და ახალმა მესვეურებმა მოისურვეს ბრძან წაება-ძათ საფრანგეთის მესვეურთათვის და იმათვი რევოლუციის სხივებით ესარგებლით... დაის კი არ მიიღეს მხედველობაში, თუ რა პირობებში უხდებოდა მათ მოქმედება! საფრანგეთის რევოლუციის შექმნელი საფრანგეთის ხალხი იყო, მხოლოთ ფრანგები მტკიცეთ შეზავებული თვისი ზრახვით და შემოქმედობით. მაშინ, როდესაც რუსეთს მარტო რუსის ხალხი არ შეადგენს. ზევითაც მოგახსენეთ, რუსეთის ჭარბლებში უმეტეს ნაწილს სხვა ერები შეა-დგენენ, რომელთაც თავ-თავისი ჭირვარამი აწუხებს, ჭირ-ვარაში, რომელიც შექმნილია წინსული რევიმის დიდი მზაკვრული მეო-სებით და ხანგძლივი მისგან დიდი წამებით. დღეს შეთანხმებული მოქმედება თელი რუსე-თის შემადგენლობის, მოსალოდნელი იყო მხო-ლოთ მარტო ამ ერების გათავისუფლებით, ამ ერების ბუნებრივი ეროვნული მისწრაფებათა დაკმაყოფილება უნდა მომზღარიყო. მარა რუსე-თის ახალმა პოლიტიკასებმი დაამტკიცა, რომ ის ლეიიძლა შეისახოთ დამხობილი თავსხლაჟ დასმული რევიმის. ეს ახალმა მთავრობამ კიდე-ვაც დაასაბურა თვისი მოქმედებით, როგორც ფინეთის, და უკრაინეთა მისწრაფებათა შე-სხებ, ისე ჩვენი უმანკო საეკლესიო საკითხე-ბის გამო. ჩვენი საეკლესიო საკითხების შესა-ხებ, მათი მოქმედება, ამ უკანასკნელ დროე-ბში, უნდა აქსნათ მათი პილიტიკური სიბე-ცით, ან იმ აღვირ-ახსნილი თვითნებობით სხვა ხალხების ინტერესებისადმი, რომელიც მათ შეთვისებული აქვთ საუკუნეებით. ვერ შეუგნით ამ ვაჟბატონებს, რო დრო თვითნე-ბობის დაუბრუნებლათ ჩაბარდა პატრონს ძველ რევიმთან, თორე უნდა ეგძნოთ მაინც, რო მათ იმოდენათ შეუძლიათ მოითხოვონ სხვი-სგან ყურათდება და პატივი, რამდენათაც თვი-თონ პატივით ეპურითიან სხვას..

ულაზათოლ, უცემუნტოთ აშენებული შენობა დღეს დაინგრადა აშენება, ახალი წეს—წყობილე-ბის დამყარება, ასლავე ცრუობა. ძალიან ძლიერ უჭირთ ჩვენ მესვეურებს.

თავშივე საჭირო იყო, რუსეთის შემად-გენელი ყველა ერები დაემუყოფილებით, იმი-სანა მოთხოვნილების შესრულებით, რომელ-თ შეუსრულებლობა ამხედრებდა მათ რუსეთის ძირითადი ხალხის წინააღმდეგ. აი სწორეთ ეს მოქმედება უნდა დაადებოდა ქვა-კუთხედათ ახალ ცხოვრების შენებას. უამისოთ-კი ის უნდობლო-ბა, რომელიც ძველმა რევიმმა დაიმსახურა, ახალისადმითაც დარჩება და მათი მოქმედე-ბა როგორც დღესაც ვატუმბთ, სასურველ მიზანს ვერ მიაღწიებ; და . საქმეც, ლილი საქ-მე წაგებული დარჩება.

10 სკრტემბერი.

სერგი ბატრაშვი

ჩვენი დროის დილი პილი.

(ერის შემადგენელ კლასთა შორის დამოკიდებულების შესახებ.)

I

დღეს სხვა და სხვა კლასები შეადგენნ ერს, ნაკიას. ამ კლასთა შორის, არსებობს განუწყვეტელი ბძოლა თავ-თავიანთი კლასიუ-შრი მღვმერებისა და გრვემონის გასამრკე-ცებლით. ბურუებაზია საშკიდრო-სასიცოლცხლო ბძოლის უსხადებს ფერდალურ თავად-აზნაუ-რობის, ამარცხებს მას და მის ნანგრევებზე თვით ბძონებლობს. პოლიტიკისტი წვრილ, ღარიბ გლეხობასთან ერთად, ეპძეის ბურუე-ზიას და ფედალურ წოდებათა ნაშთებს, ლა მობს დაამარცხოს იგი და პოლიტიკურ უფ-ლებათა ხელში ჩაგრებით თვისი დირექტორები უკარნიას ყველა დანარჩენ კლასებს. ამ ვა-რით, ერის შემადგენელ ნაწილია შორის სულ კიჩი და ბძოლა, ბძოლი და ანტაგონიზმი. კეშმარიტათ თქმულა: *homo homini lupus est.*

ერის შემადგენელ იღმიანთა შორის შუ-ღლი, მტრობა, ქაში და ბძოლა მარტო. რო არსებობს ჭარბის, ჭარი, უკუკულათ, ჩვენ კირის და ანტაგონიზმია. კეშმარიტათ თქმულა:

ური ცხოვრება თლად ჯოჯოხეთი იქნებოდა. მარა, სამხიარულოთ, ვგონებ, ეს თლად ასე არ არის.

არავის არ შეუძლია უარყოს ეკანომიური მდგარისიერობის გაუმჯობესობის გულის ოფის კლასთა და წოდებათა შორის გძლი. არავის არ შეუძლია უარყოს, რო ეს ეკანომიურ მატერიალური მხარე იდამიანთა ცხოვრებისა თამაშობს უმთავრესს როლს ერთია და კაცობრიობის ცხოვრებაში. მარა, არც იმისი უარყოფა შეიძლება, რო ეს მხარე ცხოვრებისა არ არის ერთად ერთი. არის ერთი ცხოვრებაში სხვა მხარეებიც, თუნდ პირველის გან და მაჟე დახტონბილნი, ან გამომდინარენი, პირველის (ეკან. მხ.) შემდეგ გაჩენილნი, რომელთაც არა მცირე მნიშვნელობა აქვთ ერთია და კაცობრიობის ცხოვრებაში.

მართალია, „კუჭის მრწამსი“ არის ის მთავარი ძარღი, რომელიც იმოძრავებს ერთია და კაცობრიობის ნაწილებს. მარა ისიც მართალია, რო „არა ერთითა პურითა ცხონდების იდამიანი“.

რომელია ეს. სხვა მხარეები, რომელია ეს სხვა ფაკტორები იდამიანთა ცხოვრებისა?

კუჭის აუცილებელ მოთხოვნილებათა გარდა, იდამიანს აქვს შეორე, არა ნაკლებ ინტენსიური მატერიალური ხასიათის მოთხოვნილება. მოგახსენებთ, სქესობრივი მოთხოვნილების, სქესობრივი გულისთვის შესახებ. ამასაც არა მცირე მნიშვნელობა აქვს იდამიანთა შორის დამოკიდებულებაში. ისტორიიდან ვიცით, რო ტრაულთა ომიანობის მიზეზათ შეიქნა შვენიერი ელექტრ მოტაცება^{*)})

*) ამ სტრიქინების წერის დროს, იყო შემდეგი შემთხვევა კადარის უბანში. ერთი თავადის ქალიშვილის შერთვა ხელდა სამურზაცაველ თ. ე—სა. ქალიც თანაუგნობრა ამ სიყვარულს და სულით და გულით უნდოდა მასთან შეუღლება. მარა ასეთი სურვილის წინააღმდეგარ იყო ქალის მამა, რომელმაც, თავას სხვაგან წარილია დროის, მიაბარა ეს ქალი თავის სიძეს (მეორე ქალიშვილის ქმარს) თ. ხ. ა—ს, სოფ. ფლეგებში. აქიდან ქალმ ნამაღლევათ გაახტია გაყილდა თავის საქმით. ეს უკანასკნელი იყო ცოლის შპ ამაშე ს. ჭრიულების შშრივნებში, თ. ზ. ა—ს. ხ. ა—შ,

პირველ შეხვევით, ამ შიჩენებს (ფაკტორს) უფრო მეტი მნიშვნელობაც უნდა ქონდა. მარა, თუ ეს ასე არ არი, თუ მას უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს ადამიანთა შორის დამოკიდებულებაში, ვინემ საკუთრით ეკანომიურ ფაკტორს, ან კუჭის საკითხს, ეს იმითაც თხსნებათ, როგორც ამბობს ერთი, ვკონებ, იტალიელი ეკანომისტი, სქესობრივი მოთხოვნილების დროებით მოტყუილება შეიძლება, ხოლო შიმშილისა — კი ვერაო. სხა ჭამის, კუჭის საკითხს მეტი მნიშვნელობა აქვს, სქესობრივ ფაკტორთან შედარებით. ეს კარგით შეგნებული ქონდათ ძელ რომელიცხადსაც, რომელებიც ამბობდენ: Sine Baccho et Cererae dirigit Venus (ბაზუსისა და ცერესის უმისოთ, გაყინულია ვენერაც, ე. ი., უპურ-ღვინოს დუშო სქესობრ. გულისთვალიც. მოუხდედათ ყოველიც ამისა, რო სქესობრივ ნიადაგზე ამოცენებულ სიყვარულს, კერძოთ და პლატონიურ სიყვარულს, საზოგადოთ, ერთმანეთზე გადაკიდებულ სხვა და სხვა კლასის წევრთა შორის ცოტაიდენი არმონია და შეთანხმება შეუძლია შეიტანას, რომ იგი (სიყვარული) უახლოებს ერთმანეთს სხვა და სხვა წრის იდამიანებს, ეს ექვს გარეშეა.

II

შეორე ფაკტორი, რომელიც აერთებს ერთი ყველა წოდებისა და კლასის იდამიანებს, განლავს რელიგია, სარწმუნოება. ძევლათ და საშვალ საუკუნოებში, თუ რა დიდი მნიშვნელობა ქონდა სარწმუნოებას, ეს ყველამ იცის. მორწმუნე ნაწილი კაცობრიობისა დღეს, რასაკვირველია, იმდენათ არ არი გატაცებული ასეთი ფანატიზმით. მარა მაინც სარწმუნომელსაც ებარა ქალი, გაიფიქრა: ალბათ, ჩემი მოგვარე, როგორც ხიდე, ღაეხმარებოდა თავის სოლის ძმას და გააპარებდა ჩემთან გაშორებულ ქალს. და მიუვარდა თ. ა—ს სახლში (ეს უკანასკნელი შინ არ იყო). გალახა ამისი დედა, და რძალი, სეცხლი წაუკადა ხის სახლს, საიმიდეს და ფარდულს. ესენი ყველაფერი გადაიტევა. ზარალი რამდენიმე ათას ჩანათა ალემატება. ადგილობრივი სახელგადამცა შეფულადა ამ საშტატში გარჩეულს.

აზტ.

ნოების მნიშვნელობის უარყოფა დღესაც არ შეიძლება. მოგეხსენებათ, საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ დანგრია ძეველი კულტი და, იმის ალაგას, დააწესა ახალი კლუტი, კულტი გონებისა. ახალგაზდა, ლამაზი ქალი თავისებურათ გამოწყობილი. ამ კულტით მხოლოდ სიმბოლიურათ წარმოადგენდა კონების ღმერთს.

მარა არ გასულა ბევრი ხანი, ისევ ალადგინეს ძეველი სარწმუნოება და ეკლესიები თვისი „ხუცებით“ და სს. ატრიბუტებით. და, თითქმის ასეთ მდგომარეობაშია ეს საქმე დღემდი... ღმერთი, კულტი, სული, საიქონი— ეს ისეთი ცნებებია, რომლებიც დღესაც ამოქრავებს. და აღელვებს გძნობასა და გონებას—ალამიანისას, ბევრიც რომეტად ურწმუნოება და ათების. სარწმუნოება და სარწმუნოებრივი საკითხები აერთებს, აკავშირებს, თანხმობას და ერთობას ბადებს ყველა წოდებისა და კლასის ბადამიანთა შორის. სხვილი კაპიტბლისტი, რომელიც თავის მიცვალებულს საფლავზე აღანთებს უქრობელ ლამპარს და ღატაკი გლეხი, რომელსაც გულით ჩამოქნილი სანთელი მიაქვს ეკლესიაში, ასეთივე მიცვალებულის სულის მოსახსენებლათ, ორივე ერთნაირი გძნობით არი გატაცებული და ორივე ერთნაირათ აკუმუფილებს თავის რელიგიურ მოთხოვნილებას.

III

აღამიანს აქვს, სარწმუნოების გარეშეც, სხვა სულიერი მოთხოვნილებაც. იგი ზრუნავს, მართალია, უფრო პურისოვის, დღიურ საზღვას მოპოებისთვის. მარა თავისუფალ დროს, რაც ამ გვარ ზრუნვას გადურება, იგი ახმარებს მეცნიერებასა და ხელოვნებას. ერთი სიტყვით, აღამიანს აქვს მეცნიერული და ხელოვნური ცხოველი ინტერესებიც.

ისე, როგორც ეკლესის კარი ღიაა ყველა მორწმუნეთათვის, სწორეთ მეცნიერების კარიც ღიაა ყველასთვის, ვისაც კი შეუძლია მისი სამსახური. და მეცნიერებაც ერთნაირათ იკვლევს ყუველებარ საგნებას და მოვლენებს. მეცნიე-

რულ გამოკვლევათა ნაყოფი ერთნაირათ სასაჩ-გებლოა ყველა წოდებისა და კლასის ადამიან-თათვის. და ჭეშმარიტი მეცნიერებაც ცთილობს ერთნაირათ ემსახუროს ყველას. აფილო მეცნიერებანი, მაგალითად, მათემატიკა, ასტ-რონობია, გეოლოგია, ფიზიკა, ქიმია და სხ. ყველა ამ გვარ მეცნიერებას სომ აქვს დასახული წმინდა მეცნიერულ მიზნის სამსახური. ესეთი მეცნიერება ემსახურება თელ კაცობრიობას, თელ ერს, ერის ყველა შემადგენელ ელემენტებს. ხომ არ ასებობს ბურუუაზული მათემატიკა, სოციალისტური ასტრონომია, არისოკრატული გეოლოგია და სხ.

ის—კი არა, ხშირათაც გაიგონებთ: ბურუუაზული ეკანომისტებიო. ჭეშმარიტი ეკანომისტი საზოგადო მოვლენებში უნდა ეძებდეს ეკანომისტურ ნოვლინებათა კანონებს, საზოგადოთ, და მეცნიერი ეკანომისტი თავის კვლევა-ძიებით უნდა ემსახურებოდეს მეცნიერებას, ე. ი., თელ კაცობრიობას, თელ ერს, და არა კერძო კონასებსა და წოდებებს.. როდესაც მეცნიერი პასტორი ბაკტერიოლოგიაში თავის მეცნიერულ კლევა-ძიებას აწარმოებდა, მაგალითად, აბრეშუმის ჭიის სენს (პეტრიანას) აღმოაჩენდა, მეცნიერი კოხი, ჭლექის ბაცილებს ეძიებდა, ასეთი გამოკვლევებით, ნუ თუ ამ მეცნიერებმა ნაკლები სარგებლობა მოუტანეს პროლეტარიატსა და წვრილ ვლეხობას, ვიდრე სხვილ ბურუუაზიას? ერთი სიტყვით, მეცნიერებს თვისი მეცნიერული კვლევა-ძიებით ერის შემადგენელ ნაწილთა შორის გამოიშველი, გამაცალკევებელი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ შემთანხმებელი, შემაერთებელი და ადამიანთა შორის ერთობისა, სოლიდარობისა და თანხმობის დამაყარებელი. რამდენი მეცნიერულ ნიადაგზე აღმოცნებული საზოგადოებანი და დაწესებულებანი არსებობენ, სადაც ადამიანები, სხვა და სხვა წრის ადამიანები ერთმანეთს—კი არ გადაელობებიან, არამედ გასაზღრულ საქმეებში კიდევ; შევლიან ერთი მეორეს და ძმურათ თანამშრომლობენ...

ადამიანთა შორის სიყვარულის, თან-
ხმობის, სოლიდარობის და ერთობის დამყა-
რების საქმეში კიდე უფრო მეტ როლს თამა-
შობს ხელოვნები.

მეცნიერება ხელით მხოლოდ ზოგიერთ
მომზადებულ და რჩეულ პირთა (მისი ნიუო-
ფით კი, ჰელიოგრაფით, ყველას ჟეუქლით ერთ-
ვარათ ისარკებლოს.) ხელოვნება <იმავე კეშ-
მარიტუების გამოხატავს უფრო ღამაზათ, საა-
მურათ და მიმშილველათაც (ხმებში, სიტყვე-
ბში და ფორმებში) და ამიტომ, შედარებით,
ყველასთვის უფრო აღვილ გასაგებიცაა. კე-
რვი ჭანდაკება, კარგი სიმღერა და მუსიკა,
თოთქმის ერთნაირათ უკმაყოფილებს ესთეტი-
ურ გძნობას ყველა კლასისა და წოდების
ადამიანს... საუკეთესო გურულ — კაბურ სიმ-
ღერებს ერთნირი სიმოვნებით მოსმენს
ჩვენი ხალხიდან — გლობებიც, მუშებიც და ბურ-
უება — არის ტოკრატებიც. ერთი რომელიდაც
სუანური სიმღერისთვის რატილი ამბობდა:
ეს სიმღერა სიუკეთესო იტალიურ სიმღერებს
შეეღრძებო. მშასალებე, მუსიკის ენა, შედა-
რებით რომ ითქვას, უნივერსალური ყოფილია
და თოთქმის ყველა ადამიანის თვის გასაგე-
ბიც...

ახლა აფილოთ ხელოვნური ნაწარმოები,
მაგალითად, სიტყვა — კაზმული. ესეთი ლიტე-
რატურული ნაწარმოები, მისი სიუსტი,
აღებული იყოს ოუზდა პროლეტართა, ან გლე-
ხთა, თუნდ ბურუუათა ცხოვრების წრიდან,
ყველასთვის გასაგებიც, ყველაზე მოახდენს
შესაფერ ჩაბეჭდილებას. და, რათაც ყველა
ადამიანის სულს ერთნირი თვისება და მოთ-
ხოვნიოდა აქვს, თუ ლიტერატ. ნაწარმოები,
ხელოვნურათ არი დაწერილი, იგი ყველას
უკმაყოფილებს ესთეტიურ გძნობას. ქართვე-
ლი სიმოვნებით კითხულობს არა მარტო
ილია ჭიდვებაძისა, იკაკისა, გ. ჭერთლისა, ყა-
ზიბეგის ნაწერებს, არამედ ასეთივე სიმოვნებით
კითხულობს ე. ნინოშვილის ნაწერს და ქუ-
ჩიშვილის ლექსებსაც. ერთი სიტყვით, პოე-
ტური ნაწარმოები, თვისი შინაარსის კვა-

ლობაზე, აღძრის მკითხველის გულში თინაგ-
ძნობასა და სიყვარულს, ან ზიშვისა და შტრო-
ბის, საზოგადოთ, ადამიანისადმი, განურჩევ-
ლათ წოდებისა და კლასისა. ი. რას აშბობს
ტარდი: დემოკრატული საზოგადოებით საგსეა
ჩვენი მუზეუმები, სადაც იგი ტებება მონარ-
ქითა და არის ტოკრატიათა დადგებულ მხატ-
ვრთათ და გამთდის იქიდან ნაკლები მიღ-
რებადებით ამბოხებისადმი და (მათდამი) სი-
მუდგინებისადმი ... 1) ლ. ობოლნიკი, რო-
მლის რედაკტორობითა გამოცემული რუსუ-
ლი თარგმანი ტარდის დასახელებული თხზუ-
ლებისა, იმის დაძნეს: „ხელოვნება ბმაგი
მაჭმედებას იწვევს მაღალ კლასებზედაც,
რომლებსაც შეავარებს სადაც, გამოიწვევს
იმის გასათავისფერებლათ და მის სასარგებ-
ლოთ სამოქმედოთ. 2)

ახლა გადავიდეთ ერთოგნებაზე, ეროვნულ
იდეაზე. ერთნაირი ზნე, ჩვეულება, ხასიათი,
ენა, ისტორიულ წარსულში ქრთად გატარე-
ბული ჭირი და ლხინი, ერთი სიტყვით, ერთი
ული კულტურა, ეროვნული იდეა ერთი
და იმავე ერთი წევრებს უფრო შეიძლოთაც
უახლოებს ერთმანეთს.

გვარტომიბის სხვა და სხვაობამ, გეოგ-
რაფიულ არეს ზედმოქმედებამ და სხვა ეკა-
მიური ხსიათის მიზეზებში შექნეს ერნი,
შოლაპარაკენი სხვა და სხვა ენებზე, თავთავია-
ნთი ნეკიონალური თავისებურობით. კაცო-
რისის შემაღებელ ყველა ილაშინებს მა-
ტეტიალურ ციანომიური ინტერესები ათასიც
რომ აერთებდეს, დღეს რო ცალკე ეროვნებანი
დედა მიწის ზურგზე ასებობენ თვისი ეროვ-
ნული ინტერესებით და, რომ ამ ეროვნული
ინტერესების ღაცვაც ერთი მოგვარი ფაკტო-
რთაგანთა ხალხთა შორის დამოკიდებულებაში,
ესეც, ვკონებ, სიმართლეს მოყოლებული ირ
უნდა იყოს.

1) Г. Тардъ „Сущность общества“, რუს.
თარგმანი ლ. ობოლნიკის რედაკტორობით, გამოს.
1895, გვ. 40.

2) ი. იქვე, შენიშ. I.

რა—კი არსებობს სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე ერი თავისებურზე ჩვეულებებით და სტორით, რა—კი არსებობს სხვა და სხვა გეოგრაფიული შედებარებობისა და შენობის ადგილების ზედომექედება აღამიანზე, სხვა სიტყვებით რო ვთქვათ, რა-კი არსებობს სხვა და სხვა ერი თვისი ისტორიული წარსულით და აწ-მყოთ და თვისი ნაციონალური ტერიტორიით, რა გასაკვირილია, თუ თითოეულ ადამიანს, დღეინდელ პირობებში, უფრო მეტათ უყვარდეს თვისი სამშობლო ქვეყანა. უბრალო ცალიერი, კითომდა რას შოვინისტების მიერ გამოგონილი ბერა — კი არ გვვინოთ პეტის სიტყვები: „о, родина святая, какое серце не драгнетъ тебя багословляя..“ მარტო გერმანელები — კი არ გვიძინან; „Liebes vaterland. მარტო უნგართა შოვინისტები — კი არ ამბობენ: ყმაწვილო, იყავ უცვლელათ ერთგული შენი ქვეყნისა“. მარტო ქართველი შოვინისტები — კი არ მღერიან: „არ გავცვლი მე ჩემ სამშობლო სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“. მარტო უკრაინელებისგან — კი არ გვესმის: „შენი ვიშერლა უკრაინა“.

ამ რამდენიმე წლის წინათ, გურიაში გახლით. იქ პირეულათ, ქალების ლაპარაკის დროს, გაფიგონე სიტყვა მოხ. მოდის მაგიდერათ. მაშინ ეს სიტყვა ბრუნდე და დამახინჯეშულ სიტყვათ მომეჩევნა. ზარა ერთ თვეს გურიაში დავრჩი და იმდენათ მიეჩეია ჩემი ყურთა — სმენა ამ სიტყვას, რო, როცა მას შემდეგ, ქუთასიში ამოვიარე და მარტო სიტყვა მოდი მესმირდა, ყველგან ეს უკანასკნელი ფორმა მომეჩევნა უფრო მიგარ და ტლანჭ გამოთქმათ, ხოლო მოხ — კი მიმიჩდა ზურან ნაზ, ლილ და შესაფერ სიტყვათ*)

) სიტყვა მოხ ლინგვისტურათაც ყურათლების ლირიკა. იგი მონათესავობს ათხაზურ სიტყვასთან ვაჲ (იხ. ჩვენი კიბი. იტხოოს. ახ. მ. ეს აფეთ. გვ. 16, ჭ 7 8). ასე რომ, ეს გურული ფორმა მოხ, რომ არ გვჭრებოდა, მოდი და აფხ. გავ ურთი ერთ შორის ნათესავობა შეიძლება უფრო საეჭვალ ყაფილი. აფტ.

დიდათ პატივუმული, ჩვენი თანამშრომლის სიტ-

თუ ერთი თვის მიჩვევას ამდენი ძალა ქონებია, განა გასაკვირალია, ათასი წლის ერთნაირ ისტორიულ — მატერიალურ პირობებში ცხოვრებაში ერთის, ან ერთვებაში ენით მოლაპარაკე ადამიანები შეიჩინას, დაუახლოების და დაუკავშირის ერთმანეთს იმდენათ, რომ ასეთი კავშირის დარღვევაში საშინელი ომიც — კი გამოიწვიოს დარღვევებთა წინააღმდეგ, (თუმცა ასეთ შემთხვევებში სხვა მიზეზებიც სიხლართული იქნება, უმეტესათ).

